საათი

- ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, -

იძახის

და კედელზე ჰკიდია,

დღე და ღამე ისრები

მიდიან და მიდიან.....

მოვა დედა, შეხედავს:

- აბა, ჩემო ოთარი,

ცხრა საათი გამხდარა,

შენი ძილის დრო არის!

და ყველანი მტოვებენ,

ჩემთვის არა სცალიათ.

მე რომ დედა მაძინებს,

სულ საათის ბრალია.

ნოდარ დუმბაძე

საათი

დროის საზომ ხელსაწყოს

ეწოდება საათი,

ყველამ ვიცით, ასეა

არავის სურს კამათი.

ნათია აბულაძე

თემოს ვკითხე

- დღეღამეში სულ რამდენი

საათია, აბა?

- რამდენი და, ოცდახუთი, -

მიპასუხა სწრაფად.

- როგორ-მეთქი?! - გაკვირვებით

მივაჩერდი თემოს.

- გუშინ არ თქვი, რომ საათით

მოიმატა დღეო.

შოთა ამირანაშვილი

საათი

ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ - დონ!

მიდის-მოდის-ბრუნავს დრო!

რომ ვიცოდეთ, რა გვინდა,

არ ვიაროთ უთაოდ,

ხელის, კედლის, მაგიდის

საათები მუშაობს,

რომ გავიგოთ, რა დროა:

ძილის, სწავლის, თამაშის,

საათს ვკითხოთ, ისაა
ჩვენი საქმის დარაჯი!
ზუსტად იცის ვინ რა და
როდის უნდა ვაკეთოთ:
ავდგეთ, დავწვეთ, ვიაროთ
მშვიდად იქით-აქეთო.

ტიკტიკებს და ორ ისარს
შლის და კეცავს ხელებად:
არც გლანდები აწუხებს,
არც სურდო და ხველება.
ჩვენზე უკეთ მან იცის
ჩვენი ზუსტი განრიგი,
გვარბენინებს, თვითონ კი
ადგილიდან არც იძვრის.
ყველა საათს შევყურებთ
შიშით, როგორც მბრძანებელს!
ატრიალებს სამყაროს,
წამს არავის ანებებს.

უნდა, მზე ამოჰყავს და
უნდა _ ღამის ვარსკვლავი.
ან სადა აქვს, ნეტავი,

ეს ტიკტიკი ნასწავლი?

ვერავინ ძლებს ამ ქვეყნად

უწუთოდ და უწამოდ!

სულ საჭირო დროსა და

საათს უნდა ვუცადოთ!

ვინც დროს წინ გაუსწრო, მას

გენიოსი დავარქვით,

მაგრამ ვინც დროს ჩამორჩა,

ვერ უშველის საათიც.

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ნეტა მას

ვისაც ესმის დროის ხმა!

მისთვის ყველა საათი

ოქროს ნაყოფს მოისხამს!

ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ - დონ!

მიდის-მოდის-ბრუნავს დრო.

მარიამ წიკლაური

ციფრები

1. ერთი

გზაზე მიდის ერთი კაცი,

ერთი პალტო აცვია,

ერთი ჩანთა უკავია,

შიგ ლეკვი ჰყავს, პაწია.

ლეკვიც არის ერთი,

არ იღლება ყეფით.

2. ორი

გზაზე მიდის ორი ცხენი.

ერთი თეთრი, ერთი შავი.

თეთრმა ჭამა ბევრი შვრია.

შავმა ჭამა ცოტა ჭვავი.

უკან მოსდევთ ორი კვიცი,

ერთი _ დინჯი, ერთი _მკვირცხლი.

3. სამი

ტყეში დედა კურდღელს ჰყავს

სამი თეთრი ბაჭია

სამივეა ლამაზი,

სამივეა პაწია.

მათი ტკბილი საუზმე

ტყის ხილი და მარწყვია.

4. ოთხი

დათვი დადის ოთხი თათით.

უყვარს კენკრა, უყვარს თაფლი.

ოთხი თათით დადის ძაღლიც,

აქვს თავისი ჯამიც, სახლიც,

ოთხი ფეხით დადის ცხენიც.

აჩუ, ცხენო, გასწი, ჰერიიიი!

5. ხუთი

ტყეში ხეა, ხეზე ბუდე,

შიგ ჩიტს ხუთი კვერცხი უდევს,

იქნებ ოთხი? იქნებ სამი?

არა! ხუთი! ხუთი ცალი!

დედა ჩიტიც ბუდეშია.

არც წყურია, არცა შია,

ელოდება ბარტყებს,

კვერცხებს თბილ ფრთებს აფენს.

6. ექვსი

ხეზე ერთი ფუღუროა,

შიგ ციყვების ოჯახია!

მათი ბინა კაკლით, თხილით,

გირჩით სავსე ოთახია.

ექვს ციყვს ექვსი კუდი აქვს,

ექვს თხილს ხრავენ, გულიანს.

7. შვიდი

ბაღში ცხოვრობს შვიდი ჩიტი

ბაღში ხარობს შვიდი ხე.

შვიდი ჩიტი იწყებს სტვენას,

და ამოდის ცაზე მზე.

შვიდი დღეა კვირაში და

შვიდივე გვახარებს ჩვენ!

8. რვა

ეს ეზოა, ეს ბავშვები.

რვა თამაშობს ერთი ბურთით _

ოთხი გოგო, ოთხი ბიჭი.

ესეც ჩვენი ორი გუნდი!

9. ცხრა

ცხრა ცხვარი ძოვს ბალახს წყნარად,

ცხრა ბატკანი დახტის ახლოს.

ერთი ძაღლი ცხვრებს დარაჯობს

იქნებ სადმე მგელიც ნახოს?!

10. ათი

ათი თითით ბავშვი იცვამს,

იბანს, ჭამს და თამაშობს.

ძაღლის ლეკვსაც ასეირნებს,

აქვე ახლოს, განა შორს?

ათი თითით ხატავს, ჭრის,

ეხმარება მამას,

დაწოლისას ათი თითით

დაიფარებს საბანს.

დავითვალოთ

გოჭმა ჭამა ჭანჭური,

განა ერთი? ათი!

ისე ჭამა, ღრუტ, ღრუტ, ღრუტ,

არ დაღლილა დათვლით.

მოდი, ჩვენ დავითვალოთ:

ერთი, ორი, სამი,

ოთხი, ხუთი ექვსი შვიდი,

რვა, ცხრა, ესეც _ ათი!

მარიამ წიკლაური